სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მუშაობა** Social Work
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მუშაობის დოქტორი** PhD in Social Work
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. **სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი- 30 კრედიტი (ECTS)** მათ შორის: ***სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი*** **(ECTS)*:*** ➢ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი ➢ დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი ➢ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი ***არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 5 კრედიტი*** **(ECTS)*:*** ➢ დოქტორანტის სემინარი - 5 კრედიტი ➢ სოციალური მუშაობის თეორია და პრაქტიკა -5 კრედიტი ➢ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი ➢ თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ში ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი - 5 კრედიტი ***კვლევითი კომპონენტი :*** ➢ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 ➢ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2 ➢ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3 ➢ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. *სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი სემესტრია (3 წელი).*
სწავლების ენა	ქართული

პროგრამის ხელმძღვანელები	**თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი** საჯარო პოლიტიკის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება **მარკ დოელი, ემერიტუს-პროფესორი** სოციალური მუშაობის დოქტორი, შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „სოციალურ მუშაობაში“ ან ჯანდაცვასა და კეთილდღეობაში, ასევე სოციალურ მეცნიერებაში; ან არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში; • უცხოური ენის (ინგლისური ენა) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის წარმოდგენა (იხ. დანართი №1); • კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება; • ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო - კვლევით პროექტზე) კომისიასთან. *გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-ს, საიდანაც 55 % არის სადოქტორო-კვლევითი პროექტის წონა, ხოლო 45 % - შეესაბამება გასაუბრების იმ ნაწილს, რომლის დროსაც ფასდება აპლიკანტის მოტივაცია; დარგობრივი კომპეტენციები; კრიტიკული აზროვნება, პრობლემის დასმის და საკითხის გადაჭრის უნარი.*
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სადოქტორო პროგრამის მიზნებია:** • უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ფლობენ სოციალური მუშაობის დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ ცოდნას სოციალურ პოლიტიკასა და პროგრამებზე, სოციალურ ფენომენებზე და სოციალურ პრობლემებზე; • მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სოციალური მუშაობის კვლევისა და სწავლების მიმართულებით (პედაგოგიური უნარ-ჩვევების მქონე

	მეცნიერები), რომლებიც შეძლებენ თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით სფეროში ახალი ცოდნის შექმნასა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის ადვოკატირებას, რათა ხელი შეუწყონ ქვეყანაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის, მომსახურებებისა და პრაქტიკის განვითარებას; • აღზარდოს ახალი თაობის სოციალური მუშაკები, რომლებიც როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევითი საქმიანობით ერთი მხრივ, ხელს შეუწყობენ დისციპლინის განვითარებასა და პოპულარიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო მეორე მხრივ, მოახდენენ საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებას.
სწავლის შედეგები *ა) ცოდნა და გაცნობიერება* *ბ) უნარი* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	კურსდამთავრებული: • სიღრმისეულად და კრიტიკულად იაზრებს სოციალურ მუშაობისთვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და სოციალურ თეორიებსა და თანამედროვე მიდგომებს; • ეფექტურად იყენებს სოციალური მუშაობის სფეროში დაგროვებულ თეორიულ ცოდნასა და უნარებს კვლევის დამოუკიდებლად დასაგეგმად და ჩასატარებლად; • კრიტიკულად, სისტემურ ჭრილში აანალიზებს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას ადამიანის სოციალურ ფუნქციონირებაზე: თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სქესს, ასაკს, კლასობრივ კუთვნილებას, სექსუალობას, შეზღუდულ შესაძლებლობებსა და სოციალურად სტრუქტურირებული განსხვავებების სხვა ფორმებს ადამიანის განვითარებასა და სოციალურ ფუნქციონირებაზე. აქტიურად იყენებს ამ ცოდნას როგორც კვლევის დაგეგმვისას, ისე პრაქტიკული საქმიანობისას; • მაღალი პროფესიონალიზმის დემონსტრირებით ეფექტურად გეგმავს, ატარებს კვლევას და კრიტიკულად აანალიზებს კვლევის შედეგებს, რომელიც მიმართულია სფეროს ახალი ცოდნითა და მიდგომებით გამდიდრებაზე; შესაბამისად, შეუძლია თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება სხვადსხვა სოციალური პრობლემის შესასწავლად, გამოყენებული ინტერვენციებისა და განხორციელებული პროგრამების შესაფასებლად,

	სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საჭიროებების დასადგენად და სხვ.; ● პროფესიულ დონეზე მონაწილეობს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განსაზღვრაში სოციალური პროგრამების ინიცირების და პროფესიული სტანდარტების შემუშავების მიმართულებით; ხელს უწყობს სოციალურ პოლიტიკაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას; ● მოქმედებს პროფესიული ეთიკის, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და ხელმძღვანელობს სოციალური მუშაობის ფუნდამენტური ღირებულებებით; აცნობიერებს დაკისრებულ პასუხისმგებლობას როგორც კლიენტების, ისე კოლეგების, დამქირავებელი ორგანიზაციისა, აკადემიური თემისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე; ● აცნობიერებს ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების შეუსაბამობას სოციალურ მუშაობასთან და აღიარებს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას - ამ მიდგომას იყენებს პრაქტიკული, პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობისას, პატივს სცემს სოციალურ თანასწორობას და მოქმედებს შესაბამისად; ● როგორც მკვლევარი, უარყოფს პლაგიატს და მოქმედებს კვლევის ეთიკური სტანდარტების სრული დაცვით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები: 1. ვერბალური მეთოდი 2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ. 3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა: 1. დისკუსია, დებატები

	2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/collaborative) 3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) 4. შემთხვევის ანალიზი 5. გონებრივი იერიში (Brain storming) 6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, 100 ქულიანი სისტემით.

	დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: **სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:** **ა)** "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა; **გ)** "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა; **დ)** "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა; **ე)** "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)** "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)** "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
დასაქმების სფეროები	სოციალური მუშაობის დოქტორანტურის კურსდამთავრებული, როგორც სოციალური მუშაობის დოქტორები, კონკურენტუნარიანი იქნება როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში საქმიანობის ისე პრაქტიკის კეთების თვალსაზრისით. სოციალური მუშაობის დოქტორს შეუძლია დაიკავოს ძირითადი მენეჯერული პოზიციები ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგენტოში, რომლებიც სოციალურ სერვისს ახორციელებს სხვადასხვა სფეროში (ბავშვთა კეთილდღეობა, პენიტენციალური სისტემა, უნარშეზღუდულთა რეაბილიტაცია, მოხუცებზე ზრუნვა, ნარკომანთა და აივ/შიდსით ინფიცირებულთა ადაპტაცია და სხვ.). იმ პირობებში, როდესაც სოციალური სამუშაო ხდება რეგულირებადი პროფესია, ე.ი. ექცევა სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ, მოთხოვნა სოციალურ მუშაკებზე სულ უფრო გაიზრდება,

	რაც, ცხადია, დასაქმების გაცილებით უკეთეს გარემოს შექმნის. დოქტორანტურის კურსდამთავრებული (დისერტაციის დაცვის შემთხვევაში) უფლებამოსილია მიღოს მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 1000 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორები და ასოცირებული პროფესორები; ასევე მოწვეული პროფესორები. პროგრამას ემსახურება: ოთხი პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, ერთი ემერიტუს პროფესორი და ერთი მოწვეული ლექტორი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ▪ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ▪ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ▪ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ▪ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი - ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ▪ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ ▪ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა:

	EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ▪ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ▪ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვ. **სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებას თსუ-ს ფიზიკის ინსტიტუტში აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი:** ▪ სტუდენტთა მომსახურების ოთახი (424/IV); ▪ დარგობრივი ბიბლიოთეკა (422/IV); ▪ საპროფესორო (419/IV); ამავე ინსტიტუტში სარგებლობს ფაკულტეტის შემდეგი საერთო სივრცით: ▪ სტუდენტთა რესურსცენტრითა და სამუშაო სივრცით (№ 416/IV); ▪ სააქტო დარბაზით (100 ადგილი) (I სართული); ▪ 8 სასწავლო აუდიტორიით (№№ 405; 406; 408; 409; 413; 602; 605; 608) ასევე, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიებით: ▪ №121 - თსუ-ს პირველი კორპუსი (50 ადგილიანი - HP მონიტორით, ინტერაქტიული ეკრანითა და პროექტორით); ▪ № 015 - თსუ-ს მეორე კორპუსი (72 ადგილიანი - HP მონიტორით, ინტერაქტიული ეკრანითა და კომპიუტერით); ▪ № 016 - თსუ-ს მეორე კორპუსი (96 ადგილიანი - HP მონიტორით, ინტერაქტიული ეკრანითა და კომპიუტერით); ▪ № 017 - თსუ-ს მეორე კორპუსი (88 ადგილიანი - HP მონიტორით, ინტერაქტიული ეკრანითა და კომპიუტერით) და სხვ. ▪ 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს; ▪ 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას (უკაბელო ინტერნეტი); ▪ 5 პრინტერს; ▪ ქსეროკოპირების მანქანას; ▪ 2 პროექტორს, სკანერს და ა .შ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში.
დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა	• სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (30 კრედიტი); • სამი სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე; • საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში).
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. სტუდენტმა: • უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით

	განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს **პლაგიატის** დეტექციის პროგრამაში.
დამატებითი ინფორმაცია	ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს არაუმეტეს 5 სტუდენტისა. *გასული 15 წლის განმავლობაში, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში მონაწილეობით შეიქმნა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ბიბლიოთეკაც, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის კორპუსში და მოიცავს 1400-მდე გამოცემას. ასევე, Erasmus + პროექტების ფარგლებში (ESWEG, EIGER) სტუდენტებისთვის განხორციელდა სამაგიდე კომპიუტერებისა და ლეპტოპების შესყიდვა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ელექტრონულ წიგნებზე ჰქონდეთ წვდომა, მათ შორის სახლიდან.*

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მუშაობა

სწავლების საფეხური: მე-3 (დოქტორანტურა)

კრედიტების რაოდენობა: 30 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე;

ემერეტუსი-პროფესორი მარკ დოელი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22/12/2021; №120/ 2021 (დანართი №72)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, ვადა და ბმული): № 805734; 30/06/2022 -30/06/2029 https://eqe.ge/ka/deqars/691/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2022 – 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[1] ნომერი და თარიღი): №22/2022-11/03/2022; №33/2025-03/06/2025.

[1] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს (ECTS):													
სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	პრაქტიკუმი							
1		კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები[2]	5	30	--	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი ლია წულაძე თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე ალექსანდრე კუხიანიძე

[2] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის შესაბამისი პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

													კორნელი კაკაჩია თამარ მახარაძე მარკ დოელი
2		დარგობრივი სემინარი	15	--	--	--	--	375	375	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
3		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)													
1		სოციალური მუშაობის თეორია და პრაქტიკა[3]	5	15	15	-	3	92	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარკ დოელი თამარ მახარაძე სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი ნათელა ფარცხალაძე
2		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან

[3] მხოლოდ სოციალური მუშაობის სტუდენტებისთვის

													სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
3		დოქტორანტის სემინარი	5	--	--	--	--	125	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
4		თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ის ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსები[4]	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	--
კვლევითი კომპონენტი													
1	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1												
2	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2												
3	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3												
4	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა												

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

[4] შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების **დანართი №1,**
განაცხადის ფორმა

სადოქტორო - კვლევითი პროექტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი: _____

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: _____

სადოქტორო-კვლევითი პროექტის სათაური: _____

ა) საკვლევი თემა: _____
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები ან/და ჰიპოთეზები.

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა.
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია, კვლევის განხორციელების ეტაპები და მოსალოდნელი შედეგები.
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი და ამოცანები).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა: _____

თარიღი: ____ _____ _____